ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი ა
G E O R G I A
ZESTAFONI MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:ბ22. 22262196

თარიღი:07/08/2026

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შიდა და დახურული წესით საჯარო კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 35–ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N 204 დადგენილებისა და საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 52-ე, 54-ე და 57-ე მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.2026 წლის 7 აგვისტოდან გამოცხადდეს შიდა და დახურული კონკურსი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრაციული ვებგვერდის (www. vacancy. hr.gov.ge) მეშვეობით . დანართის №1-ის შესაბამისად.

2.კონკურსის ჩატარება უზრუნველყოს საკონკურსო კომისიამ, ხოლო ვაკანტური თანამდებობის თაობაზე შეტყობინების მომზადება და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრაციული ვებგვერდის (www. vacancy.hr.gov.ge) მეშვეობით გამოქვეყნება უზრუნველყოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა.

3.ბრძანება საჯაროდ გამოქვეყნდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრირებულ ვებგვერდზე WWW.zestafoni.gov.ge - ზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ.N7) დაინტერესებული მხარის მიერ ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ზაზა ხვედელიძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი, წ ე რ ე თ ლ ი ს ქ.N11, ტ ე ლ:(492) 252626, 252766
INFO.ZESTAFONI@ZESTAFONI.GOV.GE